თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი

გიორგი გამხიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი

ელ.ფოსტა: ggamkhitashvili2@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს, ქართულ და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში, არსებული თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემატიკა. შესაბამისად, მოცემული თემატიკის ფარგლებში, ნაშრომში მკაფიოდ გაანალიზდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული თეორიები, გამოიყო მათი ძირითადი ასპექტები და სამართლებრივ ჭრილში შეფასდა ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან მათი თავსებადობის საკითხი.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი სრულყოფილი კვლევის მიზნით გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი მეთოდი, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა განსახილველ საკითხზე არსებული არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური კანონმდებლობა და შესაბამისი იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა. ნაშრომზე მუშაობისას, აგრეთვე, გამოყენებულია ფორმალურ-ლოგიკური მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სისტემურად და შინაარსობრივად შეფასდა საკვლევი თემის აქტუალური, პრობლემური მხარე.

ჩატარებული კვლევით მკაფიოდ განისაზღვრა ამსრულებლისა და თანამონაწილის სტატუსი და მათი მოქმედების საკანონმდებლო ფარგლები, აგრეთვე, გაანალიზდა მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. რის საფუძველზეც შემოთავაზებულია აღნიშნული საკითხის სწორად და ეფექტურად გადაჭრისაკენ მიმართული სამართლებრივი გზა, რომელიც, თავის მხრივ, სრულ და თანმიმდევრულ თავსებადობაშია, მოქმედი კანონმდებლობით, გათვალისწინებულ ნორმათა კონსტიტუციურ არსთან და მიზნებთან.

საკვლევი თემატიკით წამოჭრილ პრობლემატურ საკითხთა მართებული გადაწყვეტა, უაღრესად დიდ, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ იურიდიულ დოგმატიკაში, არამედ სამართალშეფარდების პროცესშიც, რადგან იგი პირდაპირ დაკავშირებულია თანაამსრულებლისა და თანამონაწილის, როგორც დანაშაულის ჩადენის პროცესში აქტიურად მოქმედი, ორი მეტად განსხვავებული ფიგურის, ქმედებათა სწორ სამართლებრივ შეფასებასთან. რაც, თავის მხრივ, აუცილებელია, როგორც ჩადენილი დანაშაულისათვის ზუსტი კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე, მის ჩადენაში მონაწილე პირთა სამართლიანად განსასჯელად. ამდენად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჯეროვნად შეფასდა საკითხის პრობლემატური მხარე და შემოთავაზებულია მისი გადაჭრის ალტერნატიული, სამართლებრივი მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: დანაშაული, შემსრულებელი, თანამზრახველი

On Matters of Distinguishing Joint Principal from Accomlices in a Crime

Giorgi Gamkhitashvili

PhD student at Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Attorney

Email: ggamkhitashvili2@gmail.com

ABSTRACT

Aim of this research paper is to show an issue of differentiation of joint principal and accomplice that is provided in Georgian and foreign legal doctrine. Thus, within the given topic, theories related to a research were clearly analysed, their main aspects were outlined and their compliance with a criminal laws of Georgia was assessed from a legislative point of view.

Considering the vital character of the research question, comparative legal method was used for the purpose of conducting of a perfect research. Through this method, Georgian and foreign legislation and a relevant scholarly literature regarding a discussed topic was analysed within the research. Moreover, method of formal logical analysis was used during working on a paper, within which the relevant and problematic issue of the research question was assessed methodically and essentially. Conducted research has clearly defined the status of principal and of accomplice, as well as legislative limits of their actions. Their common and distinctive characteristics have been analysed. Based on this, paper suggests proper and efficient ways for resolving the mentioned issue, which, in turn, is fully compatible with a constitutional concept of regulations considered by a current legislation.

Proper solution of the core problems noted within this research paper is of great practical and theoretical importance for the purposes of legal doctrine, as well as for the process of application of the law, as it is directly connected with the assessment of the behavior of two active and different figures of a crime – joint principal and accomplice. This, in turn, is essential for giving a correct assessment of a crime as well as for imposing fair punishment to the people who had committed the crime. Problematic aspect of the issue was assessed properly within this research paper and alternative, legal mechanisms of solving them have been proposed.

KEYWORDS: Offence, Principal, Accomplice

შესავალი

თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ურთიერთგამიჯვნის საკითხი დღემდე აქტუალური და სადავოა. აღნიშნული საკითხის გარკვევას, უაღრესად, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იურიდიულ დოგმატიკაში, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც. მის სწორად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული დანაშაულში მონაწილეთა მიერ განხორციელებულ ქმედებათა სამართლიანი შეფასება, რასაც, თავის მხრივ, მოსდევს განსხვავებული იურიდიული შედეგები, იმის მიხედვით პირის ქმედება შეფასდება ამსრულებლობად თუ თანამონაწილეობად. კერძოდ, თუკი თანამონაწილის ქმედება შეცდომით დაკვალიფიცირდება თანაამსრულებლობად, ამით პირთა სამართლებრივი მდგომარეობა უარესდება, რადგან დანაშაული ფასდება როგორც ჯგუფურად ჩადენილი.

განსახილველ საკითხზე არსებობს შემდეგი ძირითადი თეორიები: სუბიექტური თეორია, ფორმალურ-ობიექტური თეორია და მატერიალურ-ობიექტური თეორია. წინამდებარე ნაშრომში მოკლედ განიხილება თითოეული თეორიის ძირითადი ასპექტები და, აგრეთვე, შეფასდება დასჯადი სტადიების (მომზადებისა და მცდელობის) გამიჯვნის მნიშვნელობა, აღნიშნული საკითხის, გადაწყვეტის პროცესში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი სრულყოფილად განხილვის მიზნით, სტატიაში, აგრეთვე, გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი შემთხვევები, რომლებიც კიდევ უფრო ცხადყოფენ საკვლევი თემის პრობლემატურობას. კვლევისას გამოიკვეთა ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტები, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ პრობლემატური საკითხების ეფექტურად გადაჭრის პროცესს. კვლევისათვის ფორმალურ-ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდებია გამოყენებული.

1. სუბიექტური თეორია

სუბიექტური თეორიის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს ამსრულებლის ნებით და ქმედებას, როგორც საკუთარს ახორციელებს. ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც ქმედებას ახორციელებს, როგორც სხვისას.[1] სუბიექტური თეორიის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ადგილს არ ტოვებს წამქეზებლისათვის, რადგან წამქეზებელი ქმედებით ყოველთვის დაინტერესებულია და მას ქმედება ყოველთვის სურს, როგორც საკუთრი. ამ თეორიის თანახმად კი წამქეზებელი – ამსრულებელია.[2] თავის დროზე, გერმანულ სისხლის სამართალში აღნიშნული თეორიის დამკვიდრება გარკვეულწილად ამსრულებლის ცნების თავისებური განმარტებით (დეფინიციითაც) იყო განპირობებული. კერძოდ, გერმანული სსკ-ის თანახმად, ამსრულებელია პირი, ვინც ჩადის დანაშულს მარტო ან სხვა პირთან ერთად. ხოლო, ჩვენი კანონმდებლობით კი, ამსრულებელია პირი, რომელიც უშუალოდ ჩადის დანაშაულს, სიტყვა „უშუალოდ“ უკვე ცვლის საქმის ვითარებას, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ პირმა განახორციელა ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა თავისი ხელითა და გონებით.[3] ამ შემთხვევაში, გერმანელებს ამსრულებლის საკმაოდ მობილური ცნება

1 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 28.

2 თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 444 – 445.

3 იქვე, გვ. 446 – 447.

აქვთ და შეუძლიათ ფართოდ განმარტონ იგი. ქართული სსკ-ი კი არ გვაძლევს ამსრულებლის ცნების ფართოდ განმარტების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მოცემული თეორია არაა გასაზიარებელი, რადგან იგი საერთოდ შლის ზღვარს ამსრულებელისა და თანამონაწილისას, კერძოდ, წამქეზებელს, შორის.

2. ფორმალურ-ობიექტური თეორია

ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც დანაშაულის მთელ შემადგენლობას ან მის ნაწილს უშუალოდ ახორციელებს. თანამონაწილეა ის, ვინც ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად მოსამზადებელ ქმედებაში მიიღებს მონაწილეობას ან დანაშაულის ჩადენას სხვაგვარად შეუწყობს ხელს".[4] იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არც ამ მოძღვრებას აქვს ქართულ სისხლის სამართალში საკანონმდებლო საფუძველი, რადგან – ფორმალურ-ობიექტური თეორია ცალსახადაა ორიენტირებული ქმედების შემადგენლობის საკუთარი ხელით განხორციელებაზე, რაც შუალობითი ამსრულებლის ამსრულებლად აღიარების საშუალებას არ იძლევა.[5] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად კი, ფორმალურ-ობიექტური თეორია არ გამორიცხავს პირის ქმედების შუალობით ამსრულებლად დაკვალიფიცირების შესაძლებლობას, როდესაც ეს პირი სხვა პირის – ცოცხალი იარაღის მეშვეობით ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას. ამ დროს ცოცხალ იარაღს ან საერთოდ არ ეკისრება სს-ვი პასუხისმგებლობა, ან შესაძლოა, დაეკისროს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის.[6] შუალობითი ამსრულებლის კონტექსტში საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ ეწინააღმდეგება ფორმალურ-ობიექტური თეორიის არსს, ვინაიდან მართალია, პირი არა უშუალოდ თვითონ, არამედ ფაქტობრივად სხვა პირის მეშვეობით ჩადის დანაშაულს, თუმცა, გამოყენებული პირი, მისი ბრალუუნარობის ან სხვა გარემოების არსებობის გამო იურიდიული თვალსაზრისით მიიჩნევა, ასე ვთქვათ, უსულო საგნად, „იარაღად". სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი უტოლდება, ჩვეულებრივ შემთხვევებში, ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ საგანს, რის გამოც იურიდიული თვალსაზრისით ითვლება, რომ ამ დროს ამსრულებელი „ცოცხალი ობიექტის – იარაღის" გამოყენებით უშუალოდ ჩადის დანაშაულს (სამართლებრივი ფიქცია). შესაბამისად, შუალობითი ამსრულებლობა სამართლებრივად არ ეწინააღმდეგება ფორმალურ-ობიექტური თეორიის მთავარ არსს.

მატერიალურ-ობიექტური თეორია

მატერიალურ-ობიექტური თეორია ამსრულებლისა და თანამონაწილისა ერთმანეთისგან მათ მიერ განხორციელებული ქმედების მნიშვნელობის, დანაშაულის აღსრულებაში მათ მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით მიჯნავს.[7] მატერიალურ-ობიექტური ანუ ფინალურ-ობიექტური თეორიის საფუძველზე განვითარდა ე.წ. ქმედებაზე

4 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 69.

5 იქვე, გვ. 145.

6 თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 444.

7 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 145.

ბატონობის თეორია.[8] აღნიშნული თეორიის თანახმად, თანაამსრულებელია ისიც, ვისაც, მართალია, უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, მაგრამ ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან (მაგალითად, კორპუსის გარეთ დარაჯად დგომის ფაქტით).[9]

აღნიშნული პოზიციის მხარდამჭერ ავტორთა ნაშრომებში მოყვანილია შემდეგი მაგალითი: პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ყაჩაღობა. ერთ-ერთი მათგანი არ შესულა ბინაში და უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ყაჩაღურ თავდასხმაში, თუმცა გარეთ დადგა მეთვალყურედ, რადგან საფრთხის შემთხვევაში სხვებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია.[10] საინტერესოა, როგორ წესრიგდება აღნიშნული შემთხვევა ფუნქციონალური თეორიის მიხედვით. აღნიშნული თეორიის თანახმად, დარაჯად მდგომი პირი არის თანაამსრულებელი, რადგან ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან და უშუალოდ იყო ჩართული მის მიმდინარეობაში. მათი აზრით, თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის დასაბუთება ე.წ. ფუნქციონალური თეორიით არ ეწინააღმდეგება სსკ-ის 22-ე მუხლის პირველ ნაწილს.[11] აღნიშნულ პოზიციას ვერ დავეთანხმებით და მის წინააღმდეგობრივ ხასიათს, ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ამსრულებლობის არსთან, განვიხილავთ, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილ შემთხვევებზე დაყრდნობით. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა, უმრავლეს შემთხვევებში, არ იზიარებს ფუნქციონალური ამსრულებლობის თეორიას და საკითხს წყვეტს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში თანაამსრულებლობასა და თანამონაწილეობის ინსტიტუტების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა შესაბამისად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში მაინც გვხვდება გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც არა მხოლოდ პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა, არამედ უზენაესმა სასამართლომაც გაიზიარა ფუნქციონალური ამსრულებლობის თეორია და, ფაქტობრივად, არსებითად მასზე დააფუძნა სამართლებრივი მსჯელობა. პირველი საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: (საქმეში მონაწილე პირებს მოვიხსენიებთ შერქმეული სახელებით) პავლემ და ივანემ განიზრახეს ერთ-ერთი ბინის გაქურდვა, რის გამოც ისინი, ღამის საათებში, მივიდნენ გასაქურდ ბინასთან. ამის შემდგომ კი, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ივანე, გარშემომყოფთა თვალყურის სადევნებლად, გარეთ დარჩა, პავლე კი შევიდა საცხოვრებელ ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლა იქ არსებულ ნივთებს. სასამართლომ, დარაჯად მდგომი, ივანე, პავლესთან ერთად მიიჩნია ქურდობაში თანაამსრულებლად, რაც ჩადენილია ბინაში უკანონოდ შეღწევით. სასამართლომ განაჩენში ივანეს ქმედების კვალიფიკაციის სამართლებრივი დასაბუთებისას აღნიშნა, რომ მისი, როგორც თანაამსრულებლის, ფუნქცია გამოიხატა უშუალოდ დანაშაულის ჩადენისას სადარაჯოზე დარჩენით, რადგან

8 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 28.

9 თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 445.

10 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მე-9 გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 336.

11 იქვე, გვ. 336-337.

საფრთხის არსებობის შემთხვევაში ეცნობებინა ბინაში მყოფი პირისათვის.[12] სასამართლო თავის განაჩენში ივანეს ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში განვითარებული პოზიციის გასამყარებლად, ერთი მხრივ, მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლზე, რომელიც პირის ამსრულებლად ან თანაამსრულებლად მიჩნევისათვის ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს ქმედების უშუალოდ ჩადენას ან მასში სხვა პირებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობას,[13] რითაც სასამართლო, კანონმდებლის ნების გათვალისწინებით, აქცენტს აკეთებს პირთა მიერ ქმედების შემადგენლობის უშუალოდ განხორციელების მნიშვნელობაზე. მეორე მხრივ, კი, მიუთითებს ფუნქციონალური ამსრულებლობის თეორიაზე, რომელიც, მისი შეფასებით, წარმოადგენს სისხლის სამართალში განვითარებულ თეორიას, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა, როგორც თანაამსრულებელს, ასევე ეკისრება იმ პირსაც, რომელსაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, მაგრამ ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან და ჩართული იყო მის მიმდინარეობაში.[14] აღნიშნული მსჯელობა ცალსახად ურთიერთსაწინააღმდეგოა, ვინაიდან სასამართლო თანაამსრულებლობის ცნების განსაზღვრისას, ერთი მხრივ, მიუთითებს საკანონმდებლო დანაწესით გათვალისწინებულ დანაშაულში უშუალოდ მონაწილეობაზე, მეორე მხრივ კი, საკითხს წყვეტს იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომელიც თანაამსრულებლად მიიჩნევს იმ პირსაც, რომელსაც თავად უშუალო მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის ჩადენაში. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსახილველი თეორიის არგუმენტაციაც წინააღმდეგობრივია. კერძოდ, იგი, ერთი მხრივ, ცალსახად აღიარებს რომ დარაჯად მდგომი პირი უშუალოდ არ მონაწილეობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, თუმცა, მეორე მხრივ, აცხადებს, რომ ამ დროს პირი ფუნქციონალურად დაკავშირებულია ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან და ჩართულია მის მიმდინარეობაში. ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე გარემოებაზე, კერძოდ: 1) ზოგადად, ნებისმიერი თანამონაწილე გარკვეულ ფუნქციას ასრულებს და მისი სს-ვი პასუხისმგებლობის დასადგენად, უპირველესად, აუცილებელია მის მიერ ჩადენილი ქმედების მიზეზობრივად დაკავშირება განხორციელებულ დანაშაულთან, შესაბამისად, ნებისმიერი თანამონაწილე, უპირველეს ყოვლისა, მიზეზობრივად არის დაკავშირებული დანაშაულის განხორციელების უშუალო პროცესთან. 2) რაც შეეხება ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების მიმდინარეობაში უშუალოდ ჩართვას. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, თანამონაწილეობის ინსტიტუტის არსი თავისთავად გულისხმობს დანაშაულის განხორციელებაში პირთა ჩართვას, მაგრამ არა უშუალოდ მონაწილეობას მისი ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში. სწორედ, ეს წარმოადგენს თანამონაწილის სს-ვი წესით პასუხისგებაში მიცემის საფუძველს. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თეორიის მხარდამჭერი ავტორები განსახილველი თეორიის დასაბუთებისას ერიდებიან გამოიყენონ სიტყვა: დანაშაულის უშუალო ჩადენა, შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ

12 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ნოემბრის განაჩენი (საქმე N 1/4140-17).

13 მუხლი 22, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.

14 ტურავა, მ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 337.

მონაწილეობა (ჩართვა), ვინაიდან ეს ცალსახად წარმოაჩენს ამ თეორიის ნაკლს, რადგან ცხადია, და თვითონაც არ უარყოფენ რომ ამ დროს პირი უშუალოდ არ მონაწილეობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში. ამ ნაკლის გადასაფარად, ისინი აქცენტს აკეთებენ სიტყვათა განსხვავებულ წყობაზე, რომელიც წარმოდგება შემდეგი ფორმულირებით: – ქმედების შემადგენლობის განხორციელების მიმდინარეობაში უშუალოდ ჩართვა. ამდენად, ისმის მთავარი კითხვა: აღნიშნული ფრაზა, თავისი შინაარსით, განსხვავდება თუ არა შემდეგი ფრაზისაგან, კერძოდ: ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობის მიღებისაგან? აქ პასუხი ცალსახაა: რა თქმა უნდა, არა. ვინაიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საქმიანობის განხორციელებაში პირის უშუალო მონაწილეობა და ამ საქმიანობის განხორციელების მიმდინარეობაში პირის უშუალო ჩართვა იდენტური შინაარსის მატარებელი ცნებებია, რადგან შეუძლებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელების პროცესში უშუალოდ მონაწილეობის მიღება, მასში, მის მიმდინარეობაში (მსვლელობაში), უშუალოდ ჩაბმის, ჩართვის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის მიმდინარეობა, თავისი არსით, გულისხმობს დანაშაულის ჩადენის პროცესის მსვლელობას, ანუ ტერმინი – მიმდინარეობა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების, როგორც გარკვეული პროცესის, განგრძობადობის გამოხატულება. თანამონაწილეობის დროს – როგორც აღინიშნა, სახეზეა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების მიმდინარეობაში (მსვლელობაში) მხოლოდ ჩართვა. საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელების მიმდინარეობაში უშუალო ჩართვა, სწორედაც, ნიშნავს დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობას, რადგან ზოგადად, გარკვეული საქმიანობის განხორციელებაში პირის მიერ უშუალო მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია, რომ იგი, პირადად, პირდაპირ ჩაერთოს, ჩაებას ამ საქმიანობის განხორციელების მიმდინარეობაში ანუ მის მსვლელობაში. ფუნქციონალური ამსრულებლობის თეორიის დასაბუთებისას კი ნათქვამია, რომ მართალია, პირი უშუალოდ არ მონაწილეობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში, თუმცა უშუალოდაა ჩართული მის მიმდინარეობაში, რაც, როგორც აღინიშნა, ცალსახად ურთიერთსაწინააღმდეგოა. აქედან გამომდინარე, ისმის მთავარი კითხვა: მოცემულ შემთხვევაში, რა ქმედებაში გამოიხატა ივანეს უშუალოდ ჩართვა ქურდობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების მიმდინარეობაში, ანუ სად ჩანს მისი უშუალო მონაწილეობა ქურდობაში? სიტყვა – „უშუალოდ“ ნიშნავს პირდაპირს, სხვის გარეშეს,[15] ე.ი. როცა პირი თავად ჩადის იმგვარ ქმედებას, რომლის სამართლებრივი შეფასებაც არსებითად დამოკიდებული არაა სხვა პირის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი საქმიანობის ხარისხზე. მოცემულ შემთხვევაში კი ივანეს, როგორც ქურდობაში თანამონაწილის, სს-ვი პასუხისმგებლობის საკითხი მთლიანად, არსებითად დამოკიდებული იყო სხვა პირის, პავლეს მიერ განხორციელებულ ქმედებაზე. თანაამსრულებლობის დროს კი აუცილებელია, რომ პირმა თავად, სხვა პირთან ერთად, პირდაპირ (საკუთარი ხელითა და საკუთარი გონებით), განახორციელოს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის კონკრეტულად რომელიმე ნიშანი ან მისი ნაწილი, რომლისთვისაც იგი უშუალოდ მხოლოდ თვითონაა პასუხისმგებელი. ზოგადად, ჩა-

15 ქართული ლექსიკონი. [წვდომის თარიღი: 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93

დენილ დანაშაულში მისი წილი პასუხისმგებლობა, სწორედაც, გამომდინარეობს მის მიერ უშუალოდ განხორციელებული კონკრეტული ქმედებიდან. ეს კი გულისხმობს იმას, რომ თუ სხვა პირი აღარ განახორციელებს კონკრეტული დანაშაულის რომელიმე ნიშანს, ეს პირი, როგორც ამსრულებელი, მაინც აგებს პასუხს სს-ვი წესით სულ მცირე დანაშაულის მცდელობისათვის (ვინაიდან მას განხორციელებული აქვს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანი ან მისი ნაწილი), თანამონაწილეობის დროს კი ამსრულებლის მიერ დანაშაულის არ ჩადენა საერთოდ გამორიცხავს პირის, როგორც ამ დანაშაულში თანამონაწილის, სს-ვი პასუხისმგებლობის საკითხს. იგი, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, მაქსიმუმ შესაძლოა პასუხისგებაში მიეცეს, ისიც როგორც არა თანამონაწილე, მხოლოდ დანაშაულის მომზადებისათვის (სსკ 25-ე მ. მე-7 ნაწ.). აქედან გამომდინარე, დარაჯად მდგომი ივანე ჩართული იყო (მაგრამ არა უშუალოდ) დანაშაულის მიმდინარეობაში, რის გამოც იგი არის თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე და არა თანაამსრულებელი. ანალოგიურად, გადაწყდა საკითხი უზენაესი სასამართლოს განჩინებით,[16] რომლითაც სადგომში უკანონოდ შეღწევით განხორციელებულ ქურდობაში თანაამსრულებლად მიჩნეულია აგრეთვე ის პირიც, რომელიც საფრთხის არსებობის შემთხვევაში თანამზრახველთა გასაფრთხილებლად დარჩა სადგომის გარეთ. მოცემულ შემთხვევაში, დარაჯად მდგომი პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო ქურდობაში თანამონაწილეობად, კერძოდ, ფსიქიკურ დახმარებად. მოცემულ შემთხვევებში, აგრეთვე, პრობლემური და საკამათოა სასამართლოების მიერ დარაჯად მდგომისათვის, როგორც ამსრულებლისათვის, იმ დამამძიმებელი გარემოების შერაცხვა, როგორიცაა სადგომში უკანონოდ შეღწევა, ვინაიდან პირისათვის ამ დამამძიმებელი გარემოების შერაცხვის უმთავრეს და უპირობო ობიექტურ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ დამნაშავემ ნამდვილად უკანონოდ შეაღწიოს ამგვარ დაცულ ობიექტში და შემდგომ უშუალოდ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლოს იქ არსებულ ნივთებს. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ „სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები შექმნილია ამსრულებლისათვის და არა თანამონაწილისათვის,“[17] რის გამოც ამსრულებელს, თანამონაწილისაგან განსხვავებით, კონკრეტული დამამძიმებელი გარემოება უნდა შეერაცხოს მხოლოდ მაშინ, თუ მან უშუალოდ განახორციელა აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით გათვალისწინებული ქმედება ან მისი ნაწილი. თანამონაწილისათვის კი ობიექტური ნიშნით დამძიმებული გარემოების შესარაცხად საკმარისია მის მიერ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოების შეცნობის ფაქტი.[18] სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული განაჩენი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალაში იქნა დატოვებული. აღნიშნულ, გამონაკლის, შემთხვევათა მიმოხილვის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 ივლისის განაჩენი,[19] რომლითაც ზემოაღნიშნულ შემთხვევებისგან განსხვავებით, პირის მიერ განხორციელებული ქმედების

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 სექტემბრის განჩინება (საქმე N 2კ-208აპ.-03).

17 თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 466.

18 იქვე, გვ. 480.

19 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 ივლისის განაჩენი (საქმე N 2კ-40აპ.-19).

ხასიათის გათვალისწინებით, ბევრად უფრო მაღალი ხარისხის სტანდარტით, გამოიკვეთა მისი ფუნქციური როლი დანაშაულის ჩადენაში, თუმცა ამის მიუხედავად, სამივე ინსტანციის სასამართლომ პირის ქმედება დააკვალიფიცირა დანაშაულში თანამონაწილეობად, კერძოდ, დახმარებად. საქმის ფაბულა კი მდგომარეობდა შემდეგში (მონაწილე პირებს კვლავ მოვიხსენიებთ შერქმეული სახელებით): პავლემ და ივანემ აუხსნეს საქმის არსი პეტრეს, კერძოდ, უთხრეს, რომ აპირებდნენ ერთი პიროვნების ცემას და სთხოვეს, რომ კუთვნილი ავტომობილით წაეყვანა ისინი შემთხვევის ადგილამდე. პეტრე დასთანხმდა და ისინი მიიყვანა დანიშნულების ადგილზე, ერთ-ერთ ქუჩაზე, რა დროსაც პავლე და ივანე გადმოვიდნენ ავტომობილიდან და თავს დაესხნენ ერთ-ერთ პირს, რომელიც ცემეს. ამ დროს, პეტრე იმყოფებოდა ავტომობილში და ელოდებოდა მათ. ამავდროულად, მან დაინახა თავდასხმის ფაქტი და იქ განვითარებული მოვლენები. როდესაც პავლე და ივანე მორჩნენ თავიანთ საქმეს, ისინი სწრაფად დაიძრნენ ავტომობილისაკენ და პეტრემ მყისიერად გაარიდა ისინი შემთხვევის ადგილს. როგორც ვხედავთ, ზემოთაღნიშნული შემთხვევებისაგან განსხვავებით, აქ პეტრე არა მხოლოდ დარაჯობდა შემთხვევის ადგილს, არამედ იგი უშუალოდაც, პირდაპირ ადევნებდა თვალს დანაშაულის ჩადენას და საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, იგი, არა მხოლოდ გააფრთხილებდა თანამზრახველებს, არამედ მზად იყო დაუყოვნებლივ გაერიდებინა ისინი შემთხვევის ადგილიდანაც, რაც ბოლოს, ქმედების დამთავარების შემდეგ, გააკეთა კიდეც. სწორედ, აქედან გამომდინარე, მისი, როგორც დანაშაულში მონაწილის, ფუნქციური როლი ბევრად უფრო მაღალი და ეფექტური იყო, ვიდრე კორპუსის წინ დარაჯად მდგომი პირისა, რომელიც თავად ვერ ადევნებდა თვალს დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესს, საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც, მისი ფუნქცია გამოიხატებოდა მხოლოდ თანამზრახველების გაფრთხილებაში. თუმცა, ამის მიუხედავად, სამივე ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია პეტრეს ქმედება დანაშაულში ხელის შეწყობად ე.ი. თანამონაწილეობად, კერძოდ, დახმარებად და არა თანაამსრულებლობად, ვინაიდან მას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია დანაშაულის განხორციელებისას. აღსანიშნავია, რომ ინგლისურ სისხლის სამართალში ყაჩაღობის ზემოაღნიშნულ მაგალითში დარაჯად მდგომი პიროვნება, რომელიც ყაჩაღობისას გარეთ დარაჯობს პირს, მიიჩნევა თანამონაწილედ, კერძოდ, დამხმარედ. მათი აზრით, ამ შემთხვევაში, პირი დამხმარეა, ვინაიდან მან თავისი ქმედებით დახმარება გაუწია დანაშაულის განხორციელებას. ინგლისურ სისხლის სამართლის სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ შემთხვევას, როდესაც პირი რაიმე სახის დახმარებას უწევს მეორე პირს ან ამ უკანასკნელს აძლევს რჩევას და შემთხვევას, როდესაც პირი თვითონაც, მეორე პირთან ერთად, სრულად იღებს მონაწილეობას დანაშაულის განხორციელებაში.[20] საინტერესოა, როგორ იმიჯნება ერთმანეთისაგან ეს მოცემულობები. პირველ შემთხვევას ისინი უწოდებენ თანამონაწილეობას, მეორე შემთხვევას კი მიიჩნევენ გაერთიანებულ ამსრულებლობად (ე.ი. თანაამსრულებლობად). ამის საილუსტრაციოდ კი მოჰყავთ ბანკის ყაჩაღობის მაგალითი, როცა ორი პირი ერთობლივად შეიჭრება ბანკში და სეიფიდან დაეუფლებიან ფულს. მათი აზრით, ამ შემთხვევაში ცალსახად გამოირიცხება თანამონაწილეობა და ორივე პირი იქნება ყაჩაღობის გაერთიანებული ამსრულებლები (ანუ თანაამსრულებლები).[21] ამდენად, ინგლისურ სისხლის სამართალშიც უარყო-

20 Jones, T. & Christie, M., 1996. Criminal Law. Edinburgh: W. Green Son Ltd, p.128.
21 Ibid, p. 128.

ფილია ე.წ. ფუნქციონალური თეორიით თანაამსრულებლობის დასაბუთების შესაძლებლობა. აგრეთვე, ძალზედ აქტუალურია დარაჯად დგომის შემთხვევა, როდესაც ერთი პირი დგას კართან სადარაჯოდ, ხოლო მეორე შესულია ბინაში საყაჩაღოდ. აქ, საყურადღებოა შემდეგი გარემოება, კერძოდ, დაზარალებული ხედავს თუ არა ამ მეორე პირს, რომელიც დარაჯად დგას. საკითხის, სწორად, კვალიფიკაციისთვის საჭიროა განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა: 1) როცა კარები ღიაა და დაზარალებული ხედავს დარაჯად მდგომს, მაშინ ეს უკანასკნელი გამოდის ყაჩაღობის თანაამსრულებელი, რადგან იგი თავისი დგომით, კონკლუდენტური მოქმედებით ახორციელებს ძალადობის მუქარას ე.ი. ეს პირი ახორციელებს ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ისეთ ნიშანს როგორიცაა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა, რის გამოც ისიც ითვლება თანაამსრულებლად.[22] რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როდესაც დაზარალებული ვერ ხედავს დარაჯად მდგომს. ამ შემთხვევაში, ეს პირი არ გამოდის ყაჩაღობის თანაამსრულებელი, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი პირადად, უშუალოდ არ ახორციელებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ნიშანს, რაც აუცილებელია პირის თანაამსრულებლად მიჩნევისათვის. მეორე, ამ დროს მსხვერპლსაც გაცნობიერებული არ აქვს ეს ფაქტი. ანუ მან არ იცის, რომ მის წინააღმდეგ ორი პირია გაერთიანებული.[23] საკამათოა, ის შემთხვევაც, როდესაც ერთი პირი შედის საყაჩაღოდ, ხოლო მეორე დგება დარაჯად, მაგრამ შეთანხმებულები არიან რომ საჭიროების შემთხვევაში, დარაჯად მდგომიც შევა ბინაში და განახორციელებს ძალადობას. საინტერესოა, ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს თუ არა დარაჯად მდგომი თანაამსრულებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, საჭიროების შემთხვევაში მზად იყო, მონაწილეობა მიეღო ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში?[24] აღნიშნულ კითხვას უნდა გაეცეს შემდეგი პასუხი: რა თქმა უნდა, არა, რადგან ამ პირმა, შეპირებით რომ ჩაერთვებოდა დანაშაულის უშუალოდ განხორციელების პროცესში, არ განახორციელა ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნიშანი. ეს პირი არის პოტენციური (სავარაუდო) ამსრულებელი. პოტენციური ამსრულებელი, დღეს, მოქმედი კანონმდებლობით ამსრულებლად არ ითვლება. ამიტომ, აღნიშნულ შემთხვევაშიც დარაჯად მდგომი პირი ჩაითვლება არა ამსრულებლად, არამედ თანამონაწილედ, კერძოდ, ფსიქიკურ დამხმარედ (სსკ-ის 25; 179 მუხ).[25]

დასჯადი სტადიების (მომზადებისა და მცდელობის) გამიჯვნის მნიშვნელობა ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის საკითხში როგორც ზემოთაც აღინიშნა, როგორც ქართულ, აგრეთვე გერმანულ იურიდიულ დოქტრინაშიც, თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემატიკა ძირითადად განიხილებოდა ზემოაღნიშნული თეორიების შეფასება-გაანალიზების ჭრილში. შესაბამისად, არა მარტო ქართულ, არამედ გერმანულ იურიდიულ დოქტრინაშიც, აღნიშნული საკითხი განხილული არ ყოფილა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ურთიერთშე-

22 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი 1-ლი. მე-7 გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 492.

23 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 37.

24 გამხიტაშვილი, გ. და მელანაშვილი, ლ., 2015. დანაშაულში თანამონაწილეობის მოკლე ისტორიული ექსკურსი. გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, 75, გვ. 156.

25 იქვე, გვ. 156.

პირისპირების კუთხით. ქართულ იურიდიულ დოქტრინაში პირველად აღნიშნული საკითხის ამგვარ ჭრილში გაანალიზება/შეფასება შემოგვთავაზა პროფესორმა ნონა თოდუამ, რომელმაც გამოიკვლია აღნიშნული საკითხი, მომზადება – მცდელობის ინსტიტუტთან ურთიერთკავშირის კუთხით. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, აუცილებელია, განიხილოს ამ საკითხის გადაწყვეტის, ფაქტობრივად, ნოვაციური სამართლებრივი გზა.

აღნიშნული საკითხის გარკვევამდე კი, უპირველეს ყოვლისა, მოკლედ უნდა გაანალიზდეს მომზადებისა და მცდელობის არსი, მათი ნიშნები, რაც დაგვეხმარება მათ შორის არსებული უმთავრესი განსხვავებების დანახვაში. უმჯობესია, მივყვეთ დასჯადი სტადიების ლოგიკურ თანმიმდევრობას და დავიწყოთ მომზადების ცნებით, რომელიც მოცემულია სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში რომლის თანახმადაც, დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.[26] ამ შემთხვევაში, გასარკვევია შემდეგი საკითხი, კერძოდ, მოსამზადებელი მოქმედების ჩადენით იწყება თუ არა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნაწილის განხორციელება, რომლითაც იწყება სამართლებრივი სიკეთის უსაფრთხო ზონაში შეღწევა (რაც დამახასიათებელია მცდელობისათვის). დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება საკმარისად შორსაა დანაშაულის ბოლომდე მიყვანამდე, ამიტომ მომზადება არ ქმნის ობიექტის დაზიანების რეალურ საფრთხეს, რის გამოც ეს ეტაპი მცირე მნიშვნელობისაა. მომავალში დანაშაულის ჩადენისათვის პირის მიერ გარკვეული საქმიანობა ხშირად არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს, ანუ დამნაშავეს ჯერ კიდევ არა აქვს დაზუსტებული სამოქმედო გეგმა“.[27] ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ , რომ აქ იგულისხმება არა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს დაზუსტებული არ აქვს გეგმა იმის თაობაზე, თუ როგორ შექმნას პირობები (ამგვარი მომზადება არაა დასჯადი), არამედ, ის, თუ როგორ განახორციელოს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა. შესაბამისად, მოსამზადებელი ქმედების განხორციელება სამართლებრივი სიკეთის დაზიანების აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის, რასაც, ისიც განაპირობებს რომ მოსამზადებელი ქმედებანი, ობიექტური მხრივ, ხშირ შემთხვევაში, სოციალურ ნორმებს არ ეწინააღმდეგებიან და ამიტომაც, დანაშაულებრივი მომზადების და სოციალურად ადეკვატური ქმედების ერთმანეთისგან გამიჯვნა, მომზადების ადრეულ საწყის ეტაპზე მხოლოდ სუბიექტური ნიშნის – განზრახვის საშუალებითაა შესაძლებელი.[28] მომზადების საკითხთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებული პოზიცია გააჩნია პროფესორ ო. გამყრელიძეს, რომელიც მიუთითებს, რომ მომზადებისას მოქმედება ქმნის დანაშაულის შემადგენლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის რომ სისხლის სამართალი ქმედების სამართალი არ ყოფილა და ადამიანი, შეიძლება, დავსაჯოთ აზრის გამოთქმისათვის. მისი აზრით, თუკი კანონმდებელმა დასჯადად გამოაცხადა კაცის მოკვლის მიზნით იარაღის ან საშუალების დამზადება, მაშინ ეს მკვლელობის შემადგენლობის ნიშნად უნდა ჩავთვალოთ.[29] აღნიშნული მოსაზრება საკა-

26 მუხლი. 18, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამეტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.

27 გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 156.

28 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 24.

29 გამყრელიძე, ო., 2013. სისხლის სამართლის პრობლემები. მე-3 ტომი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 239.

მათოა და იურიდიულ ლიტერატურაში არაა გაზიარებული შემდეგ გარემოებათა გამო: მომზადება შეუძლებელია მხოლოდ აზრის გამოთქმით, არამედ იგი უპირველესად, სწორედ, გარკვეული ქმედების განხორციელებას მოითხოვს.[30] აგრეთვე, საკითხავია, თუკი მოსამზადებელი ქმედებებიც შედის დანაშაულის შემადგენლობაში, მაშინ რატომ უქმნის იგი სამართლით დაცულ სიკეთეს მხოლოდ სამომავლო საფრთხეს? გასათვალისწინებელია, მესამე საკითხიც, კერძოდ, თუკი მომზადებაც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანია, მაშინ გამოდის, რომ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური ნიშნები უნდა დაიყოს ორ ნაწილად: 1. ობიექტური შემადგენლობის ისეთი ნიშანი, რაც მხოლოდ შერეულ საფრთხეს უქმნის სამართლით დაცულ სიკეთეს და 2. ობიექტური შემადგენლობის ნიშანი, რაც მას იმწუთიერ საფრთხეს უქმნის. თუკი მომზადებასაც ვაღიარებთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, მაშინ ისმის კითხვა, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მომზადება, როგორც დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი და დაუმთავრებელი მცდელობა, რომელიც ნამდვილად არის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი? [31] რაც შეეხება მცდელობას, განსხვავებით მომზადებისაგან, იურიდიულ დოქტრინაში საკამათო არაა, რადგან მცდელობა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დასაწყისია. „დანაშაულის მცდელობა არის განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების გზით, მაგრამ ამ ეტაპზე დანაშაული ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მიყვანილი. [32] არა მხოლოდ დამთავრებული, არამედ დაუმთავრებელი მცდელობის დროსაც უკვე დაწყებულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება.[33] ანალოგიურ პოზიციას იზიარებდა თ. წერეთელიც, რომელიც მცდელობას, მოზადებისაგან განსხვავებით, მიიჩნევდა ისეთ მოქმედებად, რომელიც თვით დანაშაულის შესრულებას წარმოადგენს. რის გამოც, იგი იზიარებდა იმ კრიმინალისტების პოზიციას, რომლებიც მცდელობის მოქმედებას დანაშაულის აღმასრულებელ მოქმედებას უწოდებდნენ.[34]

გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულის მომზადება დასჯადად არაა გამოცხადებული, რის გამოც გერმანული სისხლის სამართლის პრაქტიკა მოსამზადებელ ქმედებათა დასჯისათვის კანონის განვრცობილ განმარტებას მიმართავს. ბინაში შესვლა, იქ ჩასაფრება ან/და მსხვერპლის ბინაში ძებნა მისი მოკვლის მიზნით მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდება,[35] მაშინ როდესაც ამგვარი ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, დაკვალიფიცირდება მომზადებად. დანაშაულის მომზადების ინსტიტუტებთან

30 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 30.

31 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 31.

32 ტურავა, მ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 301.

33 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 31.

34 წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. 1-ლი ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 435.

35 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 28-29.

დაკავშირებით ძალზე საინტერესო მიდგომაა დანერგილი ინგლისურ სისხლის სამართალის თეორიასა და პრაქტიკაში. კერძოდ, ინგლისურ სისხლის სამართალშიც, გერმანული სისხლის სამართლის მსგავსად, დანაშაულის მომზადება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა, გერმანული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ინგლისის სასამართლო პრაქტიკა მომზადების დაუსჯელობის ხარჯზე არ აფართოებს დანაშაულის მცდელობის სამართლებრივ ფარგლებს.[36] რაც შეეხება მცდელობის ინსტიტუტს, უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მცდელობის დეფინიცია, კერძოდ, მცდელობად მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც აღემატება დანაშაულის ჩასადენად მიმართულ ჩვეულებრივ მოსამზადებელ საქმიანობას, მათი განმასხვავებელი კრიტერიუმები არ არის დადგენილი და ქმედების შეფასება, მომზადებად თუ მცდელობად, მთლიანად მინდობილია სასამართლოზე.[37] განსახილველი საკითხის მართებულად გადაწყვეტისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მომზადებისა და მცდელობის სწორ ურთიერთგამიჯვნას. კერძოდ, თუ გავიზიარებთ ზემოთ აღნიშნულ პოზიციას, მომზადების, დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად მიჩნევაზე, შესაბამისად, დაწყებულ მოსამზადებელ საქმიანობას მივიჩნევთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშნის, მთლიანად ან ნაწილობრივ, განხორციელებად, მაშინ ის პირიც, რომელმაც მხოლოდ იარაღი შეიძინა და შემდეგ გადასცა მეორე პირს კაცის მოსაკლვად (რომელმაც მოკლა ადამიანი), უნდა ჩაითვალოს თანაამსრულებლად, ვინაიდან თუკი კაცის მოსაკლავად იარაღის შეძენა და ამსრულებლისათვის გადაცემა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანია, მაშინ გამოდის რომ პირმა მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი განახორციელა, რის გამოც ისიც, იმ პირთან ერთად რომელმაც უშუალოდ მოკლა კაცი ცეცხლსასროლი იარაღით, სსკ-ის 22-ე მუხლის შესაბამისად გვევლინება ამსრულებლად. საკითხის ასე გადაწყვეტა – ქართული კანონმდებლობის ფარგლებში დაუშვებელია, ვინაიდან, ამსრულებელია ის პირი ვინც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას ან სხვა პირთან ერთად უშუალოდ, სრულად თუ ნაწილობრივ ახორციელებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშანს (თანაამსრულებლობა). ამდენად, თუ ერთი პირის ქმედება არ გასცდა მოსამზადებელი საქმიანობის ფარგლებს (ანუ განახორციელა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის გარეთ არსებული ქმედებანი), ხოლო მეორე პირმა კი განახორციელა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი (მცდელობის სტადია), პირველი მიიჩნევა თანამონაწილედ, ხოლო მეორე – ამსრულებლად.[38]

დასკვნა

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე არსებული სუბიექტური, ფორმალურ – ობიექტური და მატერიალურ-ობიექტური თეორიების განხილვისას

36 Elliot, C. & Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition, England: Pearson, p. 274.

37 Heaton, R., 2006. Criminal Law, Textbook. Second Edition, Published in the United States by Oxford University Press, p. 482. Elliot, C. & Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition, England: Pearson p. 274.

38 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები). სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 35.

ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა თითოეული მათგანის მეტ-ნაკლები ხარისხის მქონე ნაკლოვანებები, რომლებიც, თავის მხრივ, პირდაპირ გამოიხატება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან, მათ არსებით შეუსაბამობაში. ესა თუ ის თეორია სრულად უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და არა, პირიქით. დაუშვებელია, მკაფიოდ განსაზღვრული, განჭვრეტადი კანონმდებლობით დადგენილი ნორმა, მისთვის სხვადასხვაგვარი ინტერპეტაციის მიცემის გზით, რომელიც, თავის მხრივ, არსებითად ცვლის კანონმდებლის მიერ მასში ჩადებულ შინაარსს, დავუქვემდებაროთ რომელიმე თეორიას. მით უმეტეს, ეს დაუშვებელია მაშინ, როდესაც ხდება პირისათვის საზიანო გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს დასჯადი სტადიების – მომზადებისა და მცდელობის სწორი ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე. კერძოდ, პირველ რიგში, უნდა განიმარტოს რომ მომზადება გულისხმობს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ფარგლებს გარეთ, თუმცა მის ჩასადენად მიმართულ (და არა უშუალოდ მიმართულ) ნებისმიერი სახის ქმედებას, მცდელობა, კი, ვინაიდან უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, იმთავითვე გულისხმობს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების განხორციელების დასაწყისს. შესაბამისად, თუ პირის ქმედება შემოიფარგლება მომზადების სტადიით (ხოლო მეორე პირი უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას), მან პასუხი უნდა აგოს თანამონაწილეობისათვის. ხოლო, თუ იგი სხვა პირთან ერთად განახორციელებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშანს, სახეზეა მცდელობის სტადია, იგი მიიჩნევა თანაამსრულებლად. სასამართლო პრაქტიკაში ერთსა და იმავე საქმეზე განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღებისა და შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია, უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საკითხზე გააკეთოს განმარტება, რომელიც ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპად იქცევა სასამართლოებისათვის აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბიბლიოგრაფია:

1. გაბიანი, ა. და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი.
2. გამყრელიძე, ო., სისხლის სამართლის პრობლემები. ტომი მესამე, თბილისი: იურისტების სამყარო.
3. ვესელსი, ი. და ბოილკე, ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - დანაშაული და მისი აგებულება. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. თოდუა, ნ. და სხვები, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო).

Bibliography:

1. Gabiani, A. & others, The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
2. Gamkrelidze, O., The Problems of Criminal Law. third tome, Tbilisi: The world of Lawyers. (in Georgian)
3. Veselsi, I. & Boilke, V., General Part of Criminal Law, Crime and Its Construction. Tbilisi: publishing house of University. (in Georgian)
4. Todua, N. & others, Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
5. Todua, N., The Actual Matters of Legislation

მეოთხე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი.
5. თოდუა, ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი.
6. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი. წიგნი პირველი. თბილისი: მერიდიანი.
7. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი.
8. ნაჭყებია, გ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. თბილისი: ივერიონი.
9. ტურავა, მ., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი.
10. Allen, M., Textbook on Criminal Law. Sixth Edition, Published in the United States by Oxford University Press.
11. Elliot, C. & Quinn, F., Criminal Law. Tenth Edition, England: Pearson.
12. Heaton, R., Criminal Law, Textbook. Second Edition, Published in the United States by Oxford University Press.
13. Jones, T. & Christie, M., Criminal Law. Edinburgh: W. Green Son Ltd.
14. Loveless, J., Criminal Law, Text, Cases and Materials. Third Edition, The United Kingdom: Oxford University Press.
15. Samaha, J., Criminal Law. Tenth Edition, USA: International Edition, Wadsworth Cengage Learning.
16. Smith, J., 2002. Criminal Law. Tenth Edition, The United Kingdom: The Bath Press.

Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
6. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. & Todua, N., The Special Part of Criminal Law. Book I. seventh edition, Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
7. Mchedlishvili-Hedrikh, K., Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Demonstration. Meridiani. (in Georgian)
8. Natchkebia, G., Criminal Law, General Part, Textbook. Tbilisi: Iverioni. (in Georgian)
9. Turava, M., Criminal Law, Review of General Part. Ninth Edition, Meridiani. (in Georgian)
10. Allen, M., Textbook on Criminal Law. Sixth Edition, Published in the United States by Oxford University Press. (in English)
11. Elliot, C. & Quinn, F., Criminal Law. Tenth Edition, England: Pearson. (in English)
12. Heaton, R., Criminal Law, Textbook. Second Edition, Published in the United States by Oxford University Press. (in English)
13. Jones, T. & Christie, M., Criminal Law. Edinburgh: W. Green Son Ltd. (in English)
14. Loveless, J., Criminal Law, Text, Cases and Materials. Third Edition, The United Kingdom: Oxford University Press. (in English)
15. Samaha, J., Criminal Law. Tenth Edition, USA: International Edition, Wadsworth Cengage Learning. (in English)
16. Smith, J., Criminal Law. Tenth Edition, The United Kingdom: The Bath Press. (in English)

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. #2287

Normative materials:

1. Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. #2287 (in Georgian)

სასამართლო პრაქტიკა:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ნოემბრის განაჩენი (საქმე N 1/4140-17).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს

Judicial practice:

1. The verdict of Tbilisi City Court, Date: 27th November of 2017 Year, (Case N 1/4140-17). (in Georgian)
2. The verdict of Georgian Supreme Court,

2003 წლის 18 სექტემბრის განჩინება (საქმე N 2კ-208აპ.-03).

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 ივლისის განაჩენი (საქმე N 2კ-40აპ.-19).

Date: 18th September of 2003 Year, (Case N 2K-208AP.-03). (in Georgian)

3. The verdict of Georgian Supreme Court, Date: 17th July of 2019 Year, (Case N 2K-40AP.-19). (in Georgian)

Notes:

1. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 28. (in Georgian)
2. Todua, N. & others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, pp. 444-445. (in Georgian)
3. Ibid. p. 446-447. (in Georgian)
4. Mchedlishvili-Hedrikh, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Demonstration. Meridiani, p. 69. (in Georgian)
5. Ibid, p. 145. (in Georgian)
6. Todua, N. & others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 444. (in Georgian)
7. Mchedlishvili-Hedrikh, K., Mentioned Book. p. 145. (in Georgian)
8. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 28. (in Georgian)
9. Todua, N. & others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 445. (in Georgian)
10. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani, p. 336. (in Georgian)
11. Ibid, pp. 336-337 (in Georgian)
12. The verdict of Tbilisi City Court, Date: 27th November of 2017 Year, (Case N 1/4140-17). (in Georgian)
13. Article. 22, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. # 2287. (in Georgian)
14. Turava, M., Mentioned Book, p. 337. (in Georgian)
15. Georgian dictionary, [viewed 20 May 2020]. Available from: https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93 (in Georgian)
16. The verdict of Georgian Supreme Court, Date: 18th September of 2003 Year, (Case N 2K-208AP.-03). (in Georgian)
17. Todua, N., & others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 446. (in Georgian)
18. Ibid, p. 480. (in Georgian)
19. The verdict of Georgian Supreme Court, Date: 17th July of 2019 Year (Case N 2K-40AP.-19) (in Georgian)
20. Jones, T. & Christie, M., 1996. Criminal Law. Edinburgh: W. Green Son Ltd, p. 128. (in English)
21. Ibid, p. 128.
22. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. & Todua, N., 2019. The Special Part of Criminal Law. Book I. seventh edition, Tbilisi: Meridiani, p. 492. (in Georgian)
23. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 37. (in Georgian)
24. Gamkhitashvili, G. & Melanashvili, L., 2015. The short historical excursus of complicity in crime. Scientific articles of the winner students, 75, p. 156. (in Georgian)
25. Ibid, p. 156. (in Georgian)
26. Article 18, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. # 2287. (in Georgian)
27. Gabiani, A. & others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 156. (in Georgian)
28. Mchedlishvili – Hedrikh, K., Mentioned Book. p. 24. (in Georgian)
29. Gamkrelidze, O., 2013. The Problems of Criminal Law. third tome. Tbilisi: The world of Lawyers, p. 239. (in Georgian)

30. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 30. (in Georgian)
31. Ibid, p. 31. (in Georgian)
32. Turava, M., 2013. Criminal Law, Review of General Part. Ninth Edition, Meridiani, p. 301. (in Georgian)
33. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 31. (in Georgian)
34. Tsereteli, T., 2007. The Problems of Criminal Law. Second Tome, Tbilisi: Meridiani, p. 435. (in Georgian)
35. Mchedlishvili-Hedrikh, K., Mentioned Book. pp. 28-29. (in Georgian)
36. Elliot, C. & Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition, England: Pearson, p. 274. (in Georgian)
37. Heaton, R., 2006. Criminal Law. Textbook, Second Edition, Published in the United States by Oxford University Press, p. 482. (in Georgian)
38. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 35. (in Georgian)